ადამიანის პასუხისმგებლობა და
ადამიანის პასუხისმგებლობათა ქარტია

კითხვარი/ინტერვიუ

დღეს საერთაშორისო ცხოვრება ემყარება ორ ბურჯს:

- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, რომლის უპირველესი დანიშნულებაა ადამიანის ღირსების და მისი უფლებების დაცვა, და
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, რომლის უმთავრეს მიზანს მშვიდობის დაცვა, სახელმწოფოთა შორის ურთიერთობათა მოგვარება და განვითარებაზე ზრუნვა წარმოადგენს.

ამ დოკუმენტების შექმნამ განაპირობა უდავო პროგრესი საერთაშორისო ურთიერთობათა დარეგულირებაში. თუმცა, ბოლო 50 წლის განმავლობაში მომხდარმა მრავალმა გლობალურმა ცვლილებამ საზოგადოების წინაშე ახალი პრობლემები დააყენა. ამ ვითარებაში ეს ორი ბურჯი აღარ აღმოჩნდა საკმარისი არსებულ პროცესებზე რეაგირებისთვის.

შეშფოთებას იწვევს საზოგადოების და სახელმწიფოების ეკონომიკური პოლარიზაცია, ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლების ადამიანთა მცირერიცხოვანი ჯგუფების ხელში კონცენტრირება, საფრთხე, რომლის წინაშეც დგება კულტურული მრავალფეროვნება, ბუნებრივი რესურსების ზე-ექსპლუატაცია, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში კონფლიქტების გაჩენა.

არსებული ვითარებაში ადამიანის პასუხისმგებლობათა ცნების დამკვიდრება ისეთივე აუცილებლობას წარმოადგენს, როგორც, თავის დროზე, მსოფლიო ერების მიერ ადამიანის უფლებათა იდეის გათავისება იყო.

ყოველმა ჩვენთაგანმა უნდა აიღოს საკუთარ თავზე გარკვეული პასუხისმგებლობა. რა თქმა უნდა, ეს პასუხისმგებლობა ჩვენი შესაძლებლობების პროპორციული უნდა იყოს. თუმცა ყოველი ჩვენთაგანის მოკლძალებული წვლილის გაერთიანებით შეიქმნება კოლექტიური ძალა, რომლსაც ბევრი კეთილის ქმნა შეუძლია.

ჩვენი ქსელი შედგება ორგანიზაციებისა და ცალკეული პიროვნებებისაგან. მასში გაერთიანებულია გარემოსდაცვითი დაწესებულებები, ჟურნალისტები, ძალადობის წინააღმდეგ მოღვაწენი, უნივერსიტეტის მასწავლებლები და მრავალი სხვა, ჩინეთიდან, ინდოეთიდან, ახალი ზელანდიიდან, ლიბანიდან, ეგვიპტიდან, საფრანგეთიდან, საბერძნეთიდან, იტალიიდან, კანადიდან, შეერთებული შტატებიდან, ჩილედან, ბრაზილიიდან დამრავალი სხვა ქვეყნიდან.

ყველა ამ ქვეყანაში ამ სფეროში მოღვაწე ადამიანები აწყობენ პასუხისმგებლობის ცნების ირგვლივ აქციებს, ადგენენ სასწავლო პროგრამებს სკოლებისთვის, აწყობენ დებატებს, სემინარებს, გამოსცემენ წიგნებსა და ბუკლეტებს.

ევროპაში მოღვაწე ჩვენს თანამოაზრეებთან შეთანხმებით გადავწყვიტეთ კიდევ ერთხელ შევაჯეროთ სხვადასხვა სოციალური და პროფესიული ჯგუფის პოზიციები და შეხედულებები ადამიანის პასუხისმგებლობის თემაზე. ამ მიზნით შემუშავდა კითხვარი, რომელსაც წარმოგიდგენთ. გამოკვლევის შედეგები განლაგდება ჩვენი ქსელის ვებ-გვერდზე (ჰტტპ://ალლიეს.ალლიანცე21.ორგ/ცჰარტერ) და საშუალებას მოგვცემს დავგეგმოთ ჩვენი მომდევნო ერთობლივი საქმიანობა.

თქვენი გვარისა და კოორდინატების მითითება არ არის სავალდებულო, მაგრამ გთხოვთ შეავსოთ *-ით აღნიშნული გრაფები.

გვარი:

სახელი:

სქესი*:

ასაკი*:

პროფესია და/ან სპეციალობა *:

ორგანიზაცია:

თანამდებობა:

ტელეფონი და/ან ფაქსი:

ელ ფოსტა:

ადამიანის პასუხისმგებლობა და ადამიანის პასუხისმგებლობათა ქარტია

1. რას ნიშნავს თქვენთვის სიტყვა "პასუხისმგებლობა"? რა განმარტებას მისცემდით მას?

- ☐ პასუხისმგებლობა - საკუთარი მოვალეობების კეთილსინდისიერი შესრულებაა
- ☐ პასუხისმგებლობა - საკუთარ ქმედებებზე პასუხიმგებლობაა
- ☐ პასუხისმგებლობა – სახელმწიფოს და კანონის წინაშე ანგარიშვალდებულებაა
- ☐ პასუხისმგებლობა – სხვების წინაშე ვალდებულებაა

სხვა

როდის იგრძენით პირველად რომ რაღაც პასუხისმგებლობა გაკისრიათ?

2. რა პასუხისმგებლობა გაკისრიათ?

საკუთარი თავის წინაშე

ოჯახის წინაშე

მეგობრების წინაშე

მეზობლების წინაშე

თანამშრომლების წინაშე

სხვა ადამიანების წინაშე

3. თქვენი აზრით, რა პასუხისმგებლობა აკისრიათ სხვებს თქვენს წინაშე? ვის?

4. **თუ ასრულებენ ისინი ამ პასუხიამგებლობას. თუ არა, თქვენი აზრით, რატომ?**

☐ კი

☐ არა

რატომ

5. რომელი პასუხისმგებლობა მიგაჩნიათ ტვირთად?

რომელი პასუხისმგებლობისგან გსურთ განთავისუფლება? ან სხვა პასუხისმგებლობით შეცვლა?

6. თქვენი აზრით რა განსხვავებაა კაცის და ქალის პასუხისმგებლობას შორის

ვის მეტი პასუხისმგებლობა აკისრია ოჯახში

საზოგადოებაში

7. ფიქრობთ თუ არა რომ პასუხისმგებლობა გაკისრიათ გარემოს დაბინძურებაზე. თუ შეგიძლიათ რაიმე წვლილის შეტანა მის დაცვაში. თუ კი როგორ, თუ არა –რატომ

8. თვლით თუ არა, რომ პრესამ და საინფორმაციო საშუალებებმა უნდა იკისრონ პასუხისმგებლობა პიროვნების და საზოგადოების ქცევის მონიტორინგზე?

კი (განმარტეთ რატომ)

არა (განმარტეთ რატომ)

9. თუ ყოფილა თქვენს ცხოვრებაში ისეთი შემთხვევები, როდესაც ჩაგითვლიათ, რომ ის, რაც თქვენს გარშემო ხდება – სახლში, მეგობრებთან, სამსახურში, თქვენ არ გეხებათ

10. თუ ჩარეულხართ ვინმეს დასახმარებლად ქუჩაში ან სამსახურში ისეთ კამათში ან კონფლიქტში, რომელის თქვენ უშუალოდ არ გეხებოდათ? რა მოხდა?

11. რა არის ისეთი, რაშიც არავითარ შემთხვევაში არ ჩაერევით

12. თუ გრძნობთ თავს პასუხისმგებლად მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ ან მორალურ კატასტროფებზე. თქვენი აზრით, ვინ არის მათზე პასუხისმგებელი

13 თუ გიგრძვნიათ როდისმე თავი უსუსურად პირადი და/ან საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებისას? როგორ მოქცეულხართ ასეთ სიტუაციაში.

14. “ადამიანის პასუხისმგებლობათა ქარტია” საცნობარო დოკუმენატაცია, რომელიც ხანგრძლივი დიალოგისა და კონსულტაციის შედეგად მიიღო ასობით ადამიანმა ყველა კონტინენტზე. გამოძებნეთ რამდენიმე წუთი და გაეცანით ქარტიის პრინციპებს.

ადამიანის პასუხისმგებლობათა ქარტის ძირითადი პრონციპები:

- ამჟამინდელი და სამომავლო პრობლემების გადასაჭრელად ჩვენი გაერთიანება ისეთივე მნიშვნელობას იძენს, როგორც კულტურულ სხვაობათა დაცვა.
- თითოეული ადამიანის ღირსება განიზომება სხვა ადამიანის თავისუფლებისა და ღისრების დაცვის ხელშეწყობით.
- ხანგრძლივი მშვიდობა ვერ დამკვიდრდება ადამიანის ღირსებისა და უფლებების დამცველი სამართლის გარეშე.
- ადამიანის განვითარების უზრუნველყოფა საჭიროებს როგორც მისი არამატერიალური, ასევე მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.
- ძალაუფლების განხორციელება მხოლოდ იმ შემთხვევაშია ლეგიტიმური, როდესაც ის ემსახურება საერთო სახალხო საქმეს და როდესაც ის კონტროლდება მათ მიერ, ვისზეც ეს ძალაუფლება ვრცელდება.
- ადამიანური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ბუნებრივი რესურსების მოხმარება უნდა ხდებოდეს გარემოს უფრო აქტიური დაცვისა და ფრთხილი მართვის ფონზე.
- აღმავლობის და კეთილდღეობის ძიება არ შეიძლება სიმდიდრის სამართლიანი განაწილების გარეშე.
- სამეცნიერო კვლევის თავისუფლება გულისხმობს თანხმობას მის შეზღუდვაზე ეთიკის ნორმებიდან გამომდინარე.
- ცოდნას და გამოცდილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს აზრი, როცა ხდება მათი გაზიარება და გამოყენება ერთობის, სამართლიანობისა და მშვიდობის მქადაგებელი კულტურის დამკვიდრების მიზნით.
- მოკლევადიან პრიორიტეტულ გადაწყვეტილებებში აუცილებელია სიფრთხილით იქნას შეფასებული გრძელვადიანი შედეგები, ასევე მათთან დაკავშირებული რისკის ფაქტორი და უზუსტობა.

თვლით თუ არა, რომ ამ ტიპის სარეკომენდაციო დოკუმენტის არსებობა აუცილებელია? სასარგებლოა? გონივრულია? საჭიროა?
რატომ?

რისთვის შეიძლება იქნეს იგი გამოყენებული?

A. მაგალითად, ზოგიერთი მათგანი, ვინც ეს ტექსტი შეადგინა, თვლის, რომ ქარტია მიღებულ უნდა იქნას მთავრობის, ადგილობრივი ხელმძღვანელობის ან ამ ტიპის სხვა ორგანიზაციის მიერ, როგორც სავალდებულო დოკუმენტი (როგორც ადამიანის უფლებათა დეკლარაცია). რას ფიქრობთ ამის შესახებ?

B. სხვები კი თვლიან, რომ უფრო მნიშვნელოვანია ეს დოკუმენტი მიღებულ იქნას სხვადასხვა პროფესიული ჯგუფის მიერ (მაგ.: მოსამართლეებმა, ურბანისტებმა და სხვ.) ასეთ შემთხვევაში ეს ტექსტი სავალდებულო იქნება მათთვის მათ საქმიანობაში, როგორც, მაგალითად "ჰიპოკრატეს ფიცი" ექიმებისათვის. როგორია თქვენი აზრი?

C. სხვანი კი ფიქრობენ, რომ ეს ტექსტი უნდა ემსახურებოდეს ახალგარდების და ზრდასრული ადაიანების გათვითცნობიერებას და განათლებას, რათა გაიზარდოს მათი პასუხისმგებლობა ყოველთვიურ ცხოვრებაში. მაგალითად, ჩვენი ბრაზილიელი კოლაბორატორები ატარებენ პასუხისმგებლობის ცნებასთან დაკავშირებულ საგანმანათლებლო პროექტებს, რაც ხორციელდება ქვეყნის ათასობით სკოლაში. თქვენ რას ფიქრობთ?

თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია ასეთი ქარტიის არსებობა?

რა იწვევს თქვენს კრიტიკას? რომელი საკითხები? რატომ?

მიგაჩნიათ თუ არა, რომ რომელიმე პუნქტი შესწორებას საჭიროებს? თქვენი აზრით ხომ არის რაიმე საკითხი, რომლის დამატებაც გსურთ?

წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, რომ მივუთითოთ თქვენი გვარი და კოორდინატები ინტერვიუების გამოქვეყნებისას (ვებ-გვერდზე ან პუბლიკაციაში)?

დიახ (სრულა დ/ნაწილობრივ)

არა